გორგაძე ნოდარ მოსეს-ძე — ბათუმის № 4 ავტოსატრანსპორტო ტრესტის მთავარი ინჟინერი.

გოგიბერიძე ასლან მემედის-ძე — აჭარის პუროკომბინატის დირექტორი.

გოგიტიძე გიორგი ალექსანდრეს-ძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი.

გოგიტიძე ნოდარ ხუსეინის-ძე — ქობულეთის რაიონის მუხანესტატეს საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

გოგიტიძე ჯემალ მურადის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი.

გოგუაძე იოსებ ტიმოთეს-ძე — ბათუმის სათოო პარკსამრობის დირექტორი.

გონიადი კონსტანტინე პროკოფის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.

გორგალაძე თამარ ომერის ასული — ქობულეთის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

გოჩიტაძე მედიკო მურადის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ფიქნარის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

გუგუშვილი სიმონ დომენტის-ძე — ქობულეთის რაიონის ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

გუნთაიშვილი ასლან იუსუფის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე.

გურგენიძე ხეფიზე ფერატის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

გურიელიძე ლეონა დომენტის ასული — ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი ეკონომისტი.

გურო ვალენტინა ალექსის ასული — ბათუმის რაიონის მახიჭაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

დავთაძე მერჯანან დურსუნის-ძე — შუახევის რაიონის სოფელ შუახევის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

დავთაძე თოფეზ ილიას-ძე — შუახევის რაიონის სოფელ შუახევის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

დავთაძე ნებეე მამედის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

დეკაძე სულეიმან მემედის-ძე — ბათუმის რაიონის სოფელ ზენითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ქათამაძე ალექსანდრეს ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ქაჯაია მერაბ მუსას-ძე — საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის პირველი მდივანი.

ქაჯაია რამაზ ისმაილის-ძე — ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ყინჩიყაძე ლოლა მალვას ასული — ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს აგროეკონომისტი.

ეცეცლაძე მერიკო ხუსეინის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ აქუს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ცივაძე ჯემალ იუსუფის-ძე — აჭარაოოკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ცინცაძე ევგენია ომერის ასული — ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ეკონომისტი.

ცინცაძე ტატიანა მაქსიმეს ასული — ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ჩილოსანი გიორგი გიორგის-ძე — № 2655 ავტოკოლონის მოფერი.

ჭანუყვაძე ესმე ომერის ასული — ქედის რაიონის სოფელ ხარაულის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჭელიძე ბორის ნიკიფორეს-ძე — „საქმთავარეიერგოს" ბათუმის ელექტროქსელის დირექტორი.

ჭიკინავა ვასილ ევგენის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი.

ხაბაზი ზურაბ იუსუფის-ძე — ქობულეთის რაიონის კვირიკეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

ხალვაში ისარფილ ხუსეინის-ძე — ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ხალვაში სალიე მურადის ასული — ბათუმის რაიონის სოფელ წინსელის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ხალვაში ფრიდონ იშიდის-ძე — მწერალი.

ხარატი გიორგი გაბრიელის-ძე — ბათუმის № 4 ფეხსაცმლის ფაბრიკის ოსტატი.

ხახუტაიშვილი ნინო დურსუნის ასული — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

ხვიჩია ლევან რაჟდენის-ძე — საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის გახყოფილების გამგე.

ხვიჩია მურად რეჯების-ძე — აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი აგრონომი.

ხოფერია რაულ ვალერიანის-ძე — ქარხნის ზენიკალი.

ხუხუტაშვილი თინა ოსმანის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ აქუვასთავის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჯანელიძე ვლადიმერ ყარამანის-ძე — ბათუმის საავჭრო ნავსადგურის უბნის უფროსი.

ჯაში სულეიმან დურსუნის-ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჯიჯავაძე ასმათ ქეზეთის ასული — პენსიონერი, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობა.

ჯიჯავაძე მერიმე ისმაილის ასული — ქედის რაიონის სოფელ სილაბაურის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ჯიჯეიშვილი სარდიონ სოლომონის-ძე — აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრი.

ჯინჭარაძე თენგიზ მამუდის-ძე — ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

(გაგრძელება იქნება).

საკრებულის განცხადება

ამ უკანასკნელ დღეებში მოდის ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების ახალ მტრულ მოქმედებათა შესახებ კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ გუანტანამოს სამხედრო ბაზის რაიონში.

როგორც კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების სამინისტრომ განაცხადა, 21 მაისს ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც აღნიშნულ სამხედრო ბაზაში არიან, მოულეს კუბის მესაზღვრე ჯარების ჯარისკაცი ლუის რამირეს ლოპესი, რომელიც სამსახურს ეწეოდა თავის საგუშაგოზე ბაზის ტერიტორიიდან 150 მეტრის დაშორებით. ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პენტაგონმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა ცილისწამების კამპანია გააჩაღეს სოციალისტური კუბის წინააღმდეგ. 27 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დ. რასკი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე და ამტკიცებდა, კუბელი ჯარისკაცები 23 მაისს შეიჭრნენ გუანტანამოს ბაზის ტერიტორიაზე, რის გამოც სროლა გაიმართა. სახელმწიფო მდივანი ცდილობდა ისე დაეხატა საქმე, თითქოს კუბის მხარეს ეცხრებოდეს პასუხისმგებლობა აგრეთვე იმ ინციდენტებისათვის გუანტანამოს ბაზის რაიონში, რომლებიც წინათ მოხდა.

კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ თავის 27 მაისის განცხადებაში ამბილა ცილისმწამებლური განცხადებანი, რომლებიც ამერიკის მხარემ გააკეთა, რათა მოეხსნა პასუხისმგებლობა პროვოკაციებისათვის, რასაც ამერიკის მხედრიონი სჩადის კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიეცა გაფრთხილება, რომ კუბის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჯეროვანი პასუხი გასცეს აგრესიის ყოველგვარ ცდას.

ის გარემოება, რომ განახლდა პროვოკაციები კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ერთხელ კიდევ იმაზე მეტყველებს, თუ რა ხაფრთხეს უქმნიან ხალხთა მშვიდობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იმპერიალისტმა ძალები, რომლებიც ამა თუ ამ დანაშაულს არ ერიდებიან, სამარცხვინო ომი ეიტანონ მელი ხალხის წინააღმდეგ, სამხერეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ... ეგზ რესპუბლიკაში, დაძაბულობის კერებად შექმნა ... მოსავლეთსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში. ... დება კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ — ... ი ... ი და ომავე აგრესიული პოლიტიკის გამოვლინებაა. ... ამპერიალისტები ვერ გატეხენ ხალხთა ნებას, მათ მისწრაფებას თავისუფლებისადმი, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ახალი პროვოკაციები კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ ყველა პატიოსანი ადამიანის აღშფოთებას იწვევს, ეს პროვოკაციები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს კუბელი ხალხისა და კუბის მთავრობის სამართლიანი მოთხოვნები კუბის იალქნის ნორმალიზაციის შესახებ, მოთხოვნები, რომლებსაც სავსებით უპირველ მხარს ბაბეთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ცნობები კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მერული მოქმედების შესახებ გულისწყრომას იწვევს საბჭოთა ადამიანებში, რომლებსაც ძმური მეგობრობა, რევოლუციური სოლიდარობა აკავშირებს გმირ კუბელ ხალხთან.

საბჭოთა ხელმძღვანელ წრეებში უყურადღებით ადევნებენ თვალს მოვლენათა განვითარებას ამ რაიონში და საჭიროდ მიჩნეიათ გაიმეორონ მათგანის ახლოს ... ...

კომუნისტი

საქართველო

რუსთაველს მიეძღვნა

გაიმართა ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს პირველი სამეცნიერო სესია, რომელიც ეიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის ინსტიტუტები.

მუსიკოსთა დიდი ფორუმი

ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი მოსკოვში

გუშინ, 30 მაისს მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში გაიხსნა ვენიალური რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის III საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა.

პირველი ასეთი კონკურსი გაიმართა მოსკოვში 1958 წელს.

წლევანდელი კონკურსი, რომელიც მსოფლიოს მუსიკოსთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფორუმია, 29 ივნისამდე გასტანს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა კონკურსის ჟიურის წევრს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს და სთხოვა მოკლედ მოეთხრო კონკურსის შესახებ.

აი რა გვიამბო მან:

— მე არაფერს ვიტყვი კონკურსის როგორც მსოფლიოს ნიჭიერ მუსიკოსთა შემსრულებელთა გამოვლინების ერთ-ერთი მთავარი და საუკეთესო საშუალების მნიშვნელობაზე. ამაში კონკურსს, როგორც იტყვიან, რეკომენდაცია არა სჭირდება.

წინა კონკურსებმა ნათლად გვაჩვენეს, რომ ჩაიკოვსკის სახელთან დაკავშირებულია მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოს-შემსრულებელთა რეპერტუარი. ამიტომაც არ მეგულება მუსიკოსი, რომელსაც არა თუ კონკურსში გამარჯვება, არამედ მონაწილეობაც კი საამაყოდ არ მიიჩნდეს.

წინა ორი კონკურსისაგან განსხვავებით წელს პიანისტებთან, მევიოლინეებთან და ვიოლონჩელისტებთან ერთად მონაწილეობას ვოკალისტებიც მიიღებენ.

ჟიურის შემადგენლობაში მოწვეულნი არიან საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის საუკეთესო მუსიკოსები, კომპოზიტორები. ჟიურის თავმჯდომარეები იქნებიან ე. გილელსი, დ. ოისტრახი, მ. როსტროპოვიჩი, ა. სვეშნიკოვი.

მევიოლინეთა ჟიურის მდივნად მიწვეულია ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი ი. ბერიძე, ხოლო ვიოლონჩელისტთა ჟიურის წევრად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი კომპოზიტორი ა. მაჰაპატრიანი.

კონკურსის პირველი ტური ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ხოლო მეორე და მესამე ტურები კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

წინა კონკურსებთან შედარებით მონაწილეთა რიცხვმა რამდენჯერმე იმატა. კონკურსზე პირველად ჩამოვლენ მუსიკოსები იტალიიდან, ლიბანიდან, ურუგვაიდან, შვეიცარიიდან, იუგოსლავიიდან.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს სამუშაო და საზრუნავი მოემატა. მის სახელზე მოვიდა განცხადებები 38 სახელმწიფოს 242 მუსიკოსისაგან.

ქართველ შემსრულებელთაგან კონკურსში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ცენტრალური მუსიკალური ათწლედის უოფილი მოსწავლე, ამჟამად ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტი, ვიოლონჩელისტი თამარ გაბარაშვილი.

კონკურსზე მონაწილე საუკეთესო მუსიკოს-შემსრულებელთ 36 პრემია და 16 საპატიო დიპლომი ელით.

მე იმედი მაქვს, რომ როგორც წინა კონკურსები, ისევე ეს ახალიც, შესანიშნავ მუსიკოს-შემსრულებლებს გაგვაცნობს.

• საზოგადოებრივი კვების წარჩინებული მუშაკები

ვინც ქართულ ეროვნულ ლაზათი ბდეკილია

„სასიამოვნოა, რომ აქ, მოსკოვში, ვიგრძენით ქართული სიტყვა და დიდი ქართული სტუმართმოყვარეობა. ხმირად უნდა იყოს ასეთი სასიამოვნო შეხვედრები.

შესანიშნავია, მომხიბლავია!“

მოსკოველთა ეს და მრავალი ასეთი გულთბილი ჩასაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში, სარკესავით ასახავს შარშან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე კვების საწარმოთა პირველ საკავშირო დათვალიერება-კონკურსში რესტორან „საქართველოს“ შეფასებინავ წარმატებას.

მოსკოველები, მოსკოვის სტუმრები — მუშები, კოლმეურნეები, მწერლები, ექიმები, სტუდენტები, უცხოეთიდან ჩამოსული ექსკურსანტები მოიხიბლნენ მეგობრული მიღებით, ქართული სამზარეულოს გემოვნებითა და სტუმართმოყვარეობით.

თბილისის ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში მოწყობილი გამოფენის სპეციალური სტენდები ასახავენ იმ დღეებს. ამას წინათ აქ მოეწყო საზოგადოებრივი კვების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული ორგანიზაციების, საწარმომადგენლები, საწარმოთა, საზოგადოებრივი კვების დარგის სპეციალისტები, ოსტატები.

თათბირი მიეძღვნა რესტორან „საქართველოს“ კოლექტივის წარმატებებს მოსკოვში და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა ახალ ამოცანებს. თათბირი გახსნა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ო. იოსელიანმა. რესტორან „საქართველოს“ კოლექტივის საქმიანობაზე, საზოგადოებრივი კვების მუშაკთა სადღეისო ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა ამხ. ნ. წინამძღვრიშვილმა.

როგორც ცნობილია, რესტორან „საქართველოს“ კოლექტივის რამდენიმე წევრი, აგრეთვე ქართული გემრიელი სურნელოვანი ერძების ოსტატები ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ახლა თათბირზე კი საზეიმო ვითარებაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტის ჯილდოები გადაეცათ იმ ადამიანებს, ვინც ქართულ სუფრასა და სტუმართმოყვარეობას სახელი გაუთქვა.

გამოფენის კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით „დაჯილდოებულია“ რესტორანი „საქართველო“.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პირველ დათვალიერება-კონკურსში ორგანიზატორული, ნაყოფიერი მუშაობისათვის გამოფენის კომიტეტის ვერცხლის მედალი და ფულადი პრემია გადაეცა თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტის დირექტორს ი. ბოკერიას.

გამოფენის კომიტეტის ოქროს მედლები და ფულადი პრემია მიიღეს რესტორან „საქართველოს“ წარმოების გამგემ მ. სამხარაძემ და რესტორან „საქართველოს“ დირექტორმა ა. მთვარაძემ, ვერცხლის მედლები და ფულადი პრემიები — რესტორნის ინსტრუქტორ-კულინარმა ნ. მჭედლიშვილმა, ოსტატმა მზარეულმა გ. კერეselიძემ, უფროსმა ოფიციანტმა ვ. სხირტლაძემ.

ბრინჯაოს მედლებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოებული არიან რესტორან „საქართველოს“ თანამშრომლები, გ. გოჩსაძე, მ. გუგუშვილი, ფ. სამსონაძე, მ. სხირტლაძე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ბრძანებით საბინისტროსა და სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოებული არიან: რესტორან „საქართველოს“ თანამშრომლები, საზოგადოებრივი კვების ოსტატები: პ. ქარსელაძე, გ. კვერესელიძე, ი. ჩიხრაძე, ა. მიქაია, გ. მატეკოსიანი, ნ. დაუშვილი, გ. გოქსაძე, გ. სხირტლაძე, ფ. სამსონაძე, ტ. ფარლოვა, ლ. ზაიცევა, გ. იმედაძე, ი. კირკელიძე, ა. ობოლაძე, მ. დავლიანიძე და სხვ.

დაჯილდოებულთა შორის არიან აგრეთვე ქალაქ თბილისის მთავარი მხატვარი ო. ლიმანიშვილი და მხატვარი ვ. ჯაბადარი.

ჯილდოებით აღინიშნა იმ მუშაკთა თავდადებული შრომაც, ვინც ვემოვნებით გაფორმა მოსკოვში რესტორან „საქართველოს“ შენობა, მისაღები დარბაზები. გამოაცხო ქართული პური, დაამზადა ჭურჭელი.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა თქვა თბილისის საკალაჯო საბჭოს ინსტრუქტორმის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა ი. ბოკერიამ.

— როგორც ჩვენმა ცენტრალურმა პრესამ და რადიომ აღნიშნა, განაცხადა მან, — მოსკოვის თბილისელმა მასპინძლებმა ნამდვილად წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. რაც გაკეთდა საამაყო, მაგრამ მიღწეულთან დამშვიდება არ შეიძლება. საზოგადოებრივი კვების მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია. სკკპ XXIII ყრილობის ანდაწყვეტილებანი მოგვიწოდებენ ვიმუშაოთ ისე, რომ ყველა მომხმარებელმა თქვას: შესანიშნავია, მიმზიდველია! ამ დევიზით მოეწყობა ამიდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში კონკურსი-დათვალიერება თბილისში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების მრავალი ობიექტი.

თათბირს ესწრებოდნენ მომე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების დარგის მუშაკები. მათ გაანაცხადეს, რომ უახლოეს ხანში პრაღაში გაიხსნება რესტორანი „საქართველო“. მათ დასახმარებლად ქართველი სპეციალისტები მიიწვიეს, თვითონ კი თბილისში სწავლობენ ქართული კერძების დამზადების ხელოვნებას.

ქართული კულინარიის ოსტატები კანადაშიც მიეგზავნრებიან. იმედია, ისინი კულინართა კონკურსში ასახელებენ ქართულ სუფრას.

ლურჯი და თეთრი სიმღერები

...უძველესი დროიდან ხალხს სჯეროდა, რომ ლურჯი ფერი სევდიანია, ხოლო თეთრი მხიარული, ამიტომაც ბულგარულ ხალხურადო ანსამბლს „ლურჯი და თეთრი“ ჰქვია, რადგან იგი ასრულებს მუსიკას სევდიანს, ნაზს და ამავე დროს ნათელს, ხალისიანს, მხიარულს.

„ლურჯსა და თეთრში“ ერთადერთი მომღერალია ემილ დიმიტროვი. როცა თავდაპირველად ემილი თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ოსტატობას სწავლობდა, არათუ სხვას, თვითონაც არ ეგონა, რომ მას მიკროფონისა და საესტრადო სიმღერების მეშვეობით გაიცნობდნენ. მაგრამ მომავლის გამოცნობა ძნელია, და ემილ დიმიტროვის გულის სიღრმეში ჩამალულმა სიმღერის სიყვარულმა ნელ-ნელა იჩინა თავი. გაუბედავად შედგა მან ფეხი ესტრადაზე. მაგრამ პირველმავე კონცერტებმა დიდი წარმატება მოუტანა. იმათზე, ვინც ემილ დიმიტროვისით პირველივე გამოსვლით ხალხის გულს სწვდება, მაყურებლის სიყვარულს პირველივე სიმღერით დაიმსახურებს, ამბობენ. „ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო“ და ეს ბედნიერი ვარსკვლავი ემილ დიმიტროვის სავსე. ლამაზი ბარიტონი და სცენური გარეგნული მომხიბვლელობაა. ბუნებამ ჭაბუკს შინაგანთან ერთად გარეგნული სითბოც ანუქა.

მომღერალმა ექვსი წლის წინ დაიწყო სიმღერა და მას შემდეგ იგი ესტრადაზეა.

ანსამბლში ხუთი მუსიკოსია, საკრავები უმეტესად ელექტრობისაა: ელექტროგიტარა, გიტარა-ბანი, იონიკა, მაგრამ ამ საკრავების თუ შეიძლება ფართო და ზეაწეულ ყღერადობას მიწიერებისა და უბრალოების ფერებს აძლევენ თვით დამკვრელები, რომლებიც მუსიკალური თანხლების დროს კიდევაც მღერიან.

...მღერის ემილ დიმიტროვი, ჩვენი ბულგარელი სტუმარი, რომლის კონცერტები საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში წარმატებით ჩატარდა.

მომღერალს დაბალი ხავერდოვანი ხმა აქვს, გამომსახველობის საშუალებები — სადა და ნათელი.

ემილ დიმიტროვის რეპერტუარიდან გამახსოვრდებათ კომპოზიტორ დონიდას სიმღერა „ამორე“ — სიყვარული ყველაზე უტკბესი და სანაღვლია, და მით უმეტეს გულის დამწველია, როცა მას კარგავ. შემდეგ ამ ნაღვლიან სიმღერას მოსდევს „ერთად ვიცეკვოთ“ — სიმღერა ხალისიანი, ცეცხლიანი, თავბრუდამხვევი და მგზნებარე, როგორც თვით ეს ცეკვა და მომღერალი მღერის და ცეკვავს, ცეკვავს და მღერის. ამ სიხარულს ისევ მშვიდი სიმღერა მოსდევს და ემილ დიმიტროვი გვიამბობს, თუ როგორ მიჰყვება ქალი მდიდარ ხასიძოს, მაგრამ გული სხვასთან რჩება, როგორ სჯის მას ბედი და თვალებს ცრემლებით უვსებს და... ...და შემდეგ ისევ ხალისიანი, ალტაცებული, მხიარული და... ასე კონცერტის ბოლომდე.

ვბრუნდებით ფარდის დაშვების შემდეგ, ვტოვებთ დარბაზს და თითქოს თან მოგვყვება სიმღერები სევდიანი და მხიარული — „ლურჯი და თეთრი“.

ზ. რცხილაძე,

• • •

სურათზე: მღერის ემილ დიმიტროვი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჟენევიდან ბუენოსაირესამდე ჟესიკასთან

მაშ ასე, „სოფია-თბილისის“ მუსიკალური ფესტივალის მეორე ეტაპი დაიწყო. მეოთხე დღეა საქართველო გულთბილად იღებს ბულგარული კამერული მუსიკის კვირეულის მონაწილეებს — კომპოზიტორებს ტოდორ პოპოვს, მარინ გოლემინოვს, პარაშკევ ხაჯიევს, ლაზარ ნიკოლოვს, სიმეონ პირონკოვს, კრასიმირ კიუჩუკჩიისკის, ბოიან იკონომოვს, მუსიკისმცოდნე დიმიტრ ზლვინოვს. ბულგარელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ეწვივნენ მცხეთას, ჯვარს. საქართველოს ტელევიზიამ ათასობით ტელემაყურებელს საშუალება მისცა გასცნობოდა ბულგარელ მეგობრებს, მოესმინა თანამედროვე კამერული მუსიკის რამდენიმე ნაწარმოები.

თავისთავადი და მშვენიერი, ღრმად ეროვნული რეალისტურია ბულგარელ კომპოზიტორთა შემოქმედება. ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ თბილისელი მუსიკის მოყვარულნი, რომლებიც 29 მაისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შეიკრიბნენ.

სტუმრებს გულითადად მიესალმა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. თორაძე.

— ბულგარული მუსიკის კონცერტები საქართველოში, თქვა მან, — ბულგარელ მუსიკოსებთან შეხვედრები ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიის ახალი ფურცელია. ქართველი მსმენელები, რომლებიც კარგად იცნობენ თქვენს საინტერესო და ორიგინალურ მუსიკას, ამჯერად უდიდეს ინტერესს იჩენენ ბულგარული კამერული მუსიკის კვირეულისადმი. ეს შეხვედრა შემდგომი შემოქმედებითი მეგობრობისა და თანამშრომლობის დასაბამი იქნება.

ბულგარელ კომპოზიტორთა შემოქმედებიდან ილაპარაკა ხელოვნების დამსახურებულმოღვაწემ პროფესორმა პ. ხუკუამ.

პირველ კონცერტზე შესრულდა ბულგარელ კომპოზიტორთა პ. ვლადიგეროვის, ვ. სტოიანოვის, ბ. იკონოვის, ტ. პოპოვის, ს. პირონკოვის, ლ. პიპკოვის, ფ. კუტევის, დ. საგაევის, ლ. ნიკოლოვის, გ. ზლატევ-ჩერკინის, მ. გოლემინოვის, კ. კიუჩუჩიისკის, პ. ხაჯიევის ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივი, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, საქართველოს ფილარმონიის კამერული ორკესტრი (დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. აზმაიფარაშვილი), საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ინსტრუმენტული ანსამბლი „სონეტი“, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ანდღულაძე, ბ. კრავეიშვილი, თ. მუშკუდიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მ. იაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. მიქაბერიძე, ნ. მიქელაძე ი. ცხომელიძე, ფილარმონიის სოლისტები ა. ვაჟაძე, ვ. გულისაშვილი, ნ. ბურდული, ო. კაკაშური.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ასე დაიწყო ბულგარული მუსიკის კვირეული საქართველოში. 31 მაისს ბათუმის ფილარმონიის სახაფხულო თეატრში გაიმართება კვირეულის მეორე კონცერტი, შემდეგ ბულგარეთის მუსიკის კვირეული თელავში გაიმართება. (საქდესი).

მაყურებლის რეპლიკა

უფერული ფილმი

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა უკანასკნელ წლებში შექმნეს არაერთი მაღალმხატვრული ფილმი, რომლებმაც ფართოდ გაითქვეს სახელი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამის ნათელი დამადასტურებელია ფილმ „ჯარისკაცის მამის“ ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს ეკრანებზე.

მაყურებელი ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდება ეკრანზე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოების გამოჩენას. იგი სამართლიანად მოელის, რომ ყოველი ახალი ფილმი მისცემს მას ახალ სულიერ საზრდოს. ააღელვებს ღრმა იდეურობითა და მაღალმხატვრულობით. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, როცა ვნახე კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოება „დრო იწურება ბანთიადისას“ (სცენარის ავტორი ნ. ნენოვა, დამდგმელები ნ. ნენოვა და გ. წულაია). გაოცებული და გაკვირვებული დავრჩი. არ მეგონა, რომ ჩვენი კინოსტუდიის ფილმს ვუყურებდი, როგორც იტყვიან, თვალებს არ ვუჯერებდი. აბუნად აგდებულადაც კი ვიგრძენი თავი.

ცხადია, ჩემი წერილი რეცენზიის პრეტენზიას არ აცხადებს (ეს ჩვენი კინოკრიტიკოსებისათვის მინიშნებაა), მინდა მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვა როგორც ამ ფილმის ნახვით იმედგაცრუებულმა მაყურებელმა.

ფილმი შექმნილია ამერიკელი მწერლის უილიამ აირიშის ნაწარმოების მოტივებზე. იგი დეტექტივია. მის ავტორებს განუზრახავთ ეჩვენებინათ კაპიტალისტურ სამყაროში გამეფებული ჯაფთმოძულეობა და სოციალური უთანასწორობა. სინამდვილეში კი ეს ფილმის ავტორების მხოლოდ უნაყოფო სურვილად დარჩა, ვინაიდან ნაწარმოები მხატვრულად უსუსური აღმოჩნდა. კინოსურათში უფერული და გაჭიანურებულია დრამატული სიტუაციები, ფილმი ვერ ქმნის მეტყველ წარმოდგენას იმ ცხოვრებაზე, რომელსაც პირველწყარო — უილიამ აირიშის მოთხრობა ასახავს. როგორც ჩანს, სცენარის დაბალმა დონემ შებოჭა აგრეთვე აქტიორთა საშემსრულებლო შესაძლებლობანი.

სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია აგრეთვე ის ამბავიც, რომ ჩვენი კინოსტუდიის მიერ გამოშვებული ეს ფილმი გახმოვანებულია არა ქართულ, არამედ მარტო რუსულ ენაზე.

საერთოდ, ჩემი პროფესიის ენით რომ ვთქვა, ეს ამბავი წუნდებული პროდუქციაა.

თ. კვინიხაძე,

თბილისის სახელმწიფო ჩარხების მშენებელი ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი.

ყაზანლიყის ვარდი

თელავი. (საკ. კორ.). **ყაზანლიყის ვარდის პლანტაციებში, რომლებიც გაშენებულია მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, წელს უხვი მოსავალია. ლოგინების ქარხანა-მეურნეობას საკუთარი და კოლმეურნეობების პლანტაციებიდან 950 ცენტნერი ვარდი უნდა მიეღო და გადაეშუშავებინა. ფაქტიურად უკვე ათასი ცენტნერი გადაამუშავა. ერთი ამდენი კიდევ იქნება.**

ყაზანლიყის ვარდის ჩაბარების გეგმის გადამეტებით შესრულებაში თავი ისახელეს სანაორის, ართანის, ფშავლის და სხვა კოლმეურნეობებმა. ვარდის პლანტაციებში ყოველდღიურად ათასზე მეტი ქალი და კაცი მუშაობს.

ყვარელი. (საკ. კორ.). **რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყაზანლიყის ვარდის პლანტაციები სანამუშოდ დაამუშავეს. სიბეჭითემ ხასხასრულო შედეგი გამოიღო. გეგმით გათვალისწინებული 600 ცენტნერის ნაცვლად მოიკრიფა და გადასამუშავებლად ჩაბარდა 840 ცენტნერი ვარდი. ვარდის კრეფა გრძელდება.**

ამ საქმეში თავი იხახელეს ყვარლის ეთვრზეთების ქარხანა-მეურნეობამ, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, ყვარლის კოლმეურნეობა „დერუჯმა“ და გავაზის კოლმეურნეობამ...

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). **ლაგოდეხის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 550 ცენტნერი ყაზანლიყის ვარდის ნაცვლად მოკრიფა და გადამუშავა 555 ცენტნერი. ტ. ბაღაშვილი, ნ. ჭაბაშვილი, კ. ბუტოვიჩი, ზ. გონჭაროვა და სხვები ვარდის კრეფის დღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ.**

სცენაზე ერიან მეშაპტეები

ტყიბული დასავლეთი შაბტის კლუბთან არსებულმა თვითმოქმედმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ა. სამსონიას კომედია „ჩემი შვილი სიმონი“. სპექტაკლი დადგა სახალხო თეატრის მსახიობმა არჩილ ცხადაშვილმა.

თეატრალურმა კოლექტივმა ეს დადგმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს მიუძღვნა. რამდენჯერმე მოეწყო ამომჩეველთა კოლექტიური დასწრება. ავტორპუნქტში გაიმართა სპექტაკლის გარჩევა.

ბ. გეწაძე.

საინტერესო გამოფენა

ქუთაისი. (საკ. კორ.). **სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნა ცნობილ ქართველ მხატვარ დეკორატორების ნამუშევართა გამოფენა. დარბაზებში ეკიპირებულია დ. კაკაბაძის, ს. ქობულაძის, დ. თავაძის, ი. გამრეკელის, ნ. მალაზონიას** და სხვების 100-მდე ნაწარმოები.

ეს მეტად საინტერესო გამოფენა მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ სურათების გალერეის დაარსების მეხუთე წლისთავს მიუძღვნა. გამოფენა ერთ თვეს გასტანს.



ლიდერია ც. კახაგრიშვილი

საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე გათამაშდა 9 ტური. ძირითადი ბრძოლა პირველობისათვის კვლავ კახაბრიშვილსა და საერთაშორისო ოსტატ ჩაიკოვსკაიას შორის მიმდინარეობს.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომლებმაც გარკვეული სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში.

ამ დღეს კახაბრიშვილმა აქტივში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა, მეორე ლიდერმა ჩაიკოვსკაიამ კი დამარცხება იგემა. პირველმა მოუგო ნაჯაფებას, მეორეს წააგო გიორგაძესთან. გოგიავამ კობაიძესთან პარტიაში ქულა ჩაიწერა, მანველოვამ მოუგო სვანაძეს, ჩიკოვავამ—გიორგაძეს, ხუციშვილმა — მანველოვას, ჩაიკოვსკაიამ — ივანოვას.

ცხრა ტურის შემდეგ ლიდერია ც. კახაბრიშვილი, რომელსაც 8 ქულა აქვს. ა. ჩაიკოვსკაიას 7,5 ქულა აქვს.

ა. მეხრეველი უძლიერესთა რიგებში

პარიზში მიმდინარეობს საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები.

წარმატებით იბრძვის ა. მეტრეველი, რომელსაც ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია. უკანასკნელი ორი მატჩი ქართველმა ჩოგბურთელმა მოუგო ავსტრალიელ მალიგანსა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს დენის რალსტონს ანგარიშით 3:6, 6:1, 6:3, 6:3 და 8:6, 2:6, 6:1, 6:3 და რვა უძლიერესის რიგში ჩადგა.

ჩემპიონისათვის მოსაგებ პოზიციაში

მას შემდეგ, რაც ბ. სპასკიმ წონასწორობა აღადგინა და ანგარიში გახდა 9,5:9,5, ბუნებრივია, მდგომარეობა დაიძაბა. ამიტომ ჭადრაკის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ მეოცე პარტიას.

ეს შეხვედრა შედგა გუშინ. თეთრებით თამაშობდა ბ. პეტროსიანი. გათამაშდა ნიმცოვიჩის დაცვა. მოწინააღმდეგეებმა რამდენიმე ხელა ხერხებად გააკეთეს, შემდეგ ჩემპიონმა გადაუხვია ცნობილ გაგრძელებას, მიმართა ერთგვარ სიახლეს.

ბრძოლა გამწვავდა. ერთ ეტაპზე სპასკიმ არაზუსტად ითამაშა და 30-ე სვლაზე პაიკი დაკარგა. კონტრთამაშის მიღების მიზნით პრეტენდენტმა ჯერ კუ, ხოლო შემდეგ ეტლი შეწირა, მაგრამ ჩემპიონი იშვიათი სიზუსტით თამაშობდა და ზედმეტი ეტლიც კი შეინარჩუნა.

პარტია არ დამთავრებულა. 41-ე სვლა ჩაიწერა პეტროსიანმა. ჩემპიონს მოგების რეალური შანსები აქვს.

აი გადადებული პოზიცია:

თეთრები: ტ. პეტროსიანი — მფf2, ლe7, ეd8, ეg2, პ-ბი: c3, e4, f3, h3;

შავები: ბ. სპასკი — მფb7, ლh2, მg6, პ-ბი: c4, f6, g7, h6.

„ლანეროსი“ კვლავ დამარცხდა

გასულ კვირადღეს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს მოსკოვში საერთაშორისო მატჩი ჰქონდა იტალიის საკლუბო გუნდ „ლანეროსთან“.

ანგარიში საბჭოთა ფეხბურთელებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-14 წუთზე. თავური დარტყმით ბურთი გაიტანა ბანიშევსკიმ. მალე ანა მეორე გოლი მოკვდა. ჟერონენისა და სპბოს მიერ წაბოწყებული კომბინაცია მალოფეევმა დააგვირგვინა 37-ე წუთზე სტუმრების ისარგებლეს ჩვენი დაცვის შეცდომით და კოლუშინმ (№ 8) საპასუხო ბურთი გაიტანა. პირველი ტაიმის შედეგი იყო 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევრის დასაწყისში ბანიშევსკიმ მესამე ბურთი გაიტანა, შემდეგ კი სპბომ ანგარიში გაზარდა. მართალია, იტალიელებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა (ფუსეჩიო), მაგრამ დამარცხებას ვერ გადაურჩნენ—2:4.

მეუხედავად გამარჯვებისა, საბჭოთა ნაკრების თამაშმა, კერძოდ, თავდასხმელების ბრძოლამ კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. 5 ივნისს ჩვენს ფეხბურთელებს კიდევ ერთი მატჩი ეკუთვნოდა ნოსკოვში საფრანგეთის ნაკრებთან, 8 ივნისს კი დანიაში გაემგზავრებიან, სადაც გამართავენ სამ მატჩს ადგილობრივ ხალხურ გუნდებთან. ლონდონში გამგზავრების წინ უკანასკნელ შეკრებას საბჭოთა ფეხბურთელები გაიკლიან შვეიცარიაში 21 ივნისიდან.

იტალიის „ლანეროსთან“ მატჩში ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: ქავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნინოვი, აფონინი (ჰუსაინოვი), დანილოვი, სპბო, ფოროონინი, მეტრეველი, ბანიშევსკი, მალოფეევი, ჩისლენკო.

„ა“ კლასის მეორე ჯგუფი

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ფეხბურთში.

კვირას თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თამაშობდნენ ივანოვოს „ტექსტილშრომელის“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს სტუმრებმა.

კრასნოდარში ადგილობრივ „ყუბანს“ პაექრობა ჰქონდა ბათუმის „დინამოსთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

31 მაისი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მხატვრული ფილმი „ქალები“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „ბატონყმებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „საქართველოს სოფლის მეურნეობის წარსულიდან“ — მეხილეობა, 19.00 — ვაჭრობის მუშაკთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების დასკვნითი კონცერტის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 21.10 — მხატვრული ფილმი „მკვლელობა მოედანზე“, 22.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.55 — გადაცემათა პროგრამა 1 ივნისისათვის, 23.00 — საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის ელექტრომუსიკალური ინსტრუმენტების ანსამბლის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან).

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა, მიძღვნილი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი — „დაე მუდამ იყოს მზე“..., 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ კიევი — „სპარტაკი“